№ 141
შაბათი, 4 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 141
შაბათი, 4 ივლისი, 1898 წ.
რედაქციის ადგილსამყოფელი
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

მეგახლავარ-ისა.

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას 20% დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ-ნ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—8)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ბუნება და ცხოვრება

ილ. აღ ხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ.
ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—10)

ქართველთა ამხანაგობის

გამგეობისაგან

შაბათს, 4 ივლისს, დანიშნულია საგანგებო კრება ქართველთა ამხანაგობისა, ამხანაგობის ზოგიერთ საქმეების განსახილველად.

კრება იქნება სათავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში საღამოს 8 საათზე.

კერძო ბარათები არავის გაეგზავნება.

გარეშენი კრებას ვერ დაესწრებიან. (3—ნ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ს. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ს. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ს. ნ. შეკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (Წ)

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒ

ᲢᲐᲥᲡᲐᲪᲘᲐᲡ და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

ᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲔᲚᲘᲠᲝᲕᲙᲐᲡ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲠᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲜᲔᲥᲙᲝᲕᲘ. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 567.

(50—80—43).

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

—

დანიშნულ იქმნა ძეგამის პატიმართა სადგომის ზედამხედველი მელიქიშვილი—უაზახის სამაზრო გამგეობის მე-IX კლასის შტატს გარეშე მოხელედ.

გადაყვანილ იქმნა შუშის მაზრის მე-4 ნაწილის პოლიციის ბოქაული თაკადი ვაჩნაძე—მე-3 ნაწილში.

ახალი ამბავი

*** დღეს მეცხრე დღეა, რაც თავ. ი. მაჩაბელს დაეძებენ და ვერ სად ვერ უპოვიათ, ამ ამბის გამო ათას გვარი მითქმა-მოთქმაა და ერთი ერთს ჰფიქრობს და ამბობს, მეორე—სხვას. დაბეჯითებით ნათესავთა და ნაცნობთ იციან მხოლოდ ის, რომ თავ. ი. მაჩაბელი პარასკევს, 26 ივნისს, დილის 4 საათზედ, გამოვიდა სახლიდგან გარეთ. თუმცა ჩვეულებად ჰქონდა, რომ ლოგინიდგან ადგომისათანავე თითონვე ასწორებდა ხოლმე საწოლს, მაგრამ ამ დღეს კი ხელიც არ უხლია ლოგინისათვის. სახლში დაუტოვებია პერანგის ოქროს ღილები, საათი, ფული, რაცა ჰქონია, და ცხენის რკინის გზის აბონემენტის ბილეთებიც-კი. გორის ᲛᲔᲫᲐᲫᲣᲚᲔᲗᲐ ᲐᲗᲐᲗᲐᲒᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რომლის დირექტორადაც იყო, სრულს წეს-რიგზედ დაწყობილ-დალაგებული დაუტოვებია სახლში. სახლიდგან გამოსვლისათანავე წინ შეჰხვედრია პოლიციელი, რომელსაც ქუდი მოუხდია და უკითხავს, საით მიბრძანდებით, თავადო, ასე ადრიანადო, მაგრამ თავადს ხმა არ გაუცია და, პოლიციელის გარდმოცემით, დაუხვევია გოლოვინის პროსპექტისაკენ. 26 ივნისსავე, ნაშუადღევის 1 საათზედ, უნახავს თ. მაჩაბელი მკურნალს მამინოვს, რომელსაც კარგად ჰსცნობია იგი, ავლაბრის ხიდისაკენ მიმავალი და სალამი მიუცია. თავ. მაჩაბელსაც მიუცია სალამი მამინოვისათვის და სრულიად დამშვიდებულს განუგრძვია გზა. დაბეჯითებით მხოლოდ ეს იციან.

მთავარ-მართებელის თანაშემწის ბ-ნის ფრეზეს ბრძანებისამებრ დეპეშები დაეგზავნათ მაზრების უფროსთ, დაეგზავნათ აგრეთვე სურათები და ტფილისის პოლიცმეისტერმა კიდევ განკარგულება მოახდინა, რომ ყოველი ხევი და დანგრეული სახლები დაათვალიერეთ, იქნება სადმე აღმოჩნდესო, მაგრამ ვერსად ვერ ჰნახეს. მუშტაიდის ბაღიდგან მოყოლებული კარგა დიდს მანძილზედ ეძებეს მტკვარში, 16 გვამიც იპოვეს მოცურავეებმა, მაგრამ თავადი ი. მაჩაბელი მაინც არსად აღმოჩნდა.

*** ტფილისის გუბერნატორმა ბ-ნმა თ. ა. ბიკოვმა წინადადება მისცა მაზრის უფროსებს და ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ სტატისტიკური ცნობები გამომიგზავნეთ მათხოვრების რაოდენობისა და იმის შესახებ, თუ რა უწყობს ხელს მათხოვრობის გავრცელებას, რა გვარ [illegible] ქველმოქმედო დაწესებულება მათხოვართა რიცხვის შესამცირებლად და რა ნაყოფი მოაქვს ამ გვარ დაწესებულების მოქმედებას. ეს ცნობები საჭიროა იმ კომისიისთვის, რომელიც სასჯულო საქმეთა სამინისტროსთან იქმნა დაარსებული გლახაობასთან საბრძოლველ საშუალებათა შესამუშავებლად.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ

(საკუთარის კორესპონდენტისა)

ახალმა სიომ დაჭბერა: ინგლისელთა და ამერიკელების ძმობა.

გუშინ, 4 ივლისს, უდიდესს „სესილის“ სასტუმროში ინგლისელებმა და ამერიკელებმა დიდის ამბით იდღესასწაულეს წლის თავი ამერიკის შეერთებულ შტატების თავისუფლებისა. დაესწრნენ: ამერიკის ელჩი და წევრნი როზბერი—გლადსტონის ლიბერალურ სამინისტროსი, რის გამოც დღესასწაულს თითქმის ოფიციალური ელფერი ჰქონდა, ხოლო სიტყვებმა, წარმოთქმულმა ბრაისისა და ლორდების დიუფერინისა, კიმბერლენისა და რაპონის მიერ ამ დღესასწაულს მიანიჭეს ხასიათი ისტორიულის ამბისა.

„ძმები უკუნისამდე ძმებად დარჩებიანო“ სთქვა ბრაისმა, როდესაც წარმოსთქვა სადღეგრძელო ინგლისისა და შტატების ხალხთა ძმურის კავშირისა.

ამ სიტყვებმა მინისტრად ნამყოფის კაცისა გამოხატა ინგლისის მთელის საზოგადოების მისწრაფება: კავშირი დიდ რესპუბლიკასთან, ფედერატიული გაერთიანება ავსტრალიისა, სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოთა, კანადისა და დიდის-ბრიტანიისა—აი უდიდესი მიზანი იმ ერთა ეხლანდელის მთამომავლობისა, რომელნიც ინგლისიურს ენაზედ ლაპარაკობენ.

ეს საქმე დიადია, და თუ განხორციელდა იგი, ძნელად წარმოსადგენია, რა შედეგი მოჰყვება მას და რა მნიშვნელობა ექმნება ერთა შორის პოლიტიკაზე. აბა იფიქრეთ: 130 მილიონი ინგლის-საქსონთა, რომელნიც დასახლებულნი არიან მთელის ქვეყნის უმდიდრეს და უმშვენიერეს ადგილებში, შეერთებულნი არიან ერთს ფედერალულ რესპუბლიკად! ეს მფლობელნი ზღვათა, მეცნიერებისა, მრეწველობისა, ვაჭრობისა 300 მილიონ მცხოვრებ სხვა-და სხვა, ჯურის ერთა, შეერთდება და ერთს კავშირს წარმოადგენს! სწორედ რომ რაღაც ზღაპრული ამბავია... ადვილად გასაგებია, რად შესცქერის ასეთის გულის ფანცქალითა და შიშით ამ ამბავს საფრანგეთი და გერმანია.

მართლაც და, რას უნდა წარმოადგენდეს მომავალში ევროპა, როდესაც დაარსდება კავშირი ქვეყნის მპყრობელთა, რომელნიც შეიარაღებულნი იქმნებიან ტეხნიკითა და მრეწველობით?

— მხოლოდ რუსეთს შეუძლიან წინ დაგვიდგეს,—მითხრა ერთმა ჟურნალისტმა. მაგრამ ჩვენ გვრწამს მომავალი რუსეთისა და გვრწამს ისიც, რომ შესაძლებელია მეგობრობა სლავიანთა დიდის ფედერაციისა, რომელიც მძლავრია ხმელეთზე, და ჩვენის კავშირის შორის, რომელიც შესდგება მეზღვაურთაგან.

— მერე გერმანია, საფრანგეთი იტალია და სხვა?

— ეხლაც-კი ცალ-ცალკე რომ ავიღოთ თითოეული ეგ სახელმწიფო, არც ერთს არა აქვს მნიშვნელობა ქვეყნისათვის: რუსეთისა ან ინგლისის დაუხმარებლად არც ერთს მათგანს არ შეუძლიან რომელისამე საქმის გადაწყვეტა. ამ ორმოცის წლის წინად, როდესაც განათლებამ და პოლიტიკამ ძველს ევროპაში მოიკალათა, ეს სახელმწიფონი განაგებდნენ მეზობელთა ბედს და თითქმის მთელის ქვეყნის ბედსაც...

ჩვენს დროში კი... ეხლანდელმა ტეხნიკამ გააერთიანა შორეული ქვეყნები. ეხლა მხოლოდ რუსეთი, ინგლისი და შეერთებული შტატები წარმოადგენენ ნამდვილს დიდს სახელმწიფოს და მათ უნდა მიემხრონ სხვა სახელმწიფონი...

გამოგიტყდებით, რომ ამ ფანტაზიამ ცოტა არ იყოს მიიქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ ინგლის-ამერიკის კავშირით გატაცებულის მოსაუბრის სიტყვებში ვერაფერი ვპოვე იმავე ფანტაზიის გარდა.

უფრო საყურადღებოა საუბარი ერთის სახელმწიფო მოღვაწისა ჩემთან, ამავე საგნის შესახებ.

— „რას მისცემს ახალს რასმეს კაცობრიობას ეგ თქვენი ინგლის-ამერიკის კავშირი? ომსა და დაუსრულებელს შეიარაღებას განა?

— ბისმარკი და ნაპოლეონი ინგლისელები არ არიან. ჩვენი დიადი სახელმწიფო მოღვაწე გლადსტონი მომხრეა მშვიდობიანობისა და პროგრესისა. ნუ გეშინიანთ, ჩვენ არაოდეს არ გადვიქცევით მხედრებად. რაც უნდა ხრიკებს მიჰმართონ სამხედრო კაცებმა და რეაქციონერებმა, ჩვენში არაოდეს არ დაწესდება სამხედრო ბეგარა, საზოგადოება და ხალხი, მდიდარი და ღარიბი ყველანი განაცხადებენ თვისს წინააღმდეგობას. ჩვენ მეტად დამოუკიდებელნი ვართ და ვაფასებთ კიდეც ღირსებას ადამიანისას. ვერც ერთი სამინისტრო ვერ გაგვიბედავს ხელის შეხებას. მართალია, ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს და საზოგადოდ ყურ-მოჭრილნი ყმები ვართ ჩვენის ცრუ მორწმუნეობისა და ჩვეულებისა, ხოლო ბევრი ჩვენი ჩვეულება სულელური და ველური. მაგრამ ყოველივე ეს შედეგია ჩვენის ისტორიულის განვითარებისა, გამომხატველია ერის ცხოვრებისა. ხომ ასე ვემორჩილებით ზნე-ჩვეულებასა და საზოგადოების აზრს, მაგრამ ყალყზე ვდგებით სამინისტროს ახალ ბრძანების გაგონებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს განკარგულება შედეგი არ არის უმრავლესობის აზრისა. ომი ჯარი-კი ჩვენში არ უყვართ.

— ჰო, მართალია, ვაჭრობასა, მრეწველობას და ზღვაოსნობას თქვენ ხიშტზე და ხმალზე არ გასცვლით.

⁂ აგრონომმა თავ. ანტონიკა-შვილმა შარშანდელის მოუსავლობით დაზარალებულთ დაურიგა იმ ფულით ნაყიდი პური, რომელიც ამ აზრით იყო გამოგზავნილი კერძო საეკონომიო საზოგადოების მიერ.

⁂ ქალაქის იმ მამულში, რომელზედაც დაგებულ იქმნა ყარსის რკინის გზის ლიანდაგი, დამფასებელ კომისიის აზრით ტფილისს ყოველ დესეტინა მამულზედ უნდა მიეცეს 500 მან.

⁂ გორის მაზრის სოფ. დირბის მცხოვრებელთ ნება მიეცათ ისესხონ სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან 1,500 მან. იმ საძოვარ მამულის შესაძენად, რომელიც მაცხოვრის მონასტრის საკუთრებაა.

⁂ გაზ. „Сынъ От.“ სწერს, რომ ამ ჟამად პეტერბურგს ამოვიდნენ კავკასიელი დიდი მემამულეები, რომელთაც თავიანთ მამულში სხვა-დასხვა გვარ ლითონის მადანი აღმოუჩენიათ და მიჰმართეს ერთს ბანკს, რომ ამ მადნების წარმოებისა და მუშაობის დაწყებისათვის საჭირო ფული გვასესხეთო. მემამულეთა შუამდგომლობას ბანკის გამგეობა დიდის თანაგრძნობით მიეგება, მაგრამ, რადგან წესდების ძალით ბანკს უფლება არა აქვს ასეთი სესხი გასცეს, ამიტომ განზრახვა აქვს ბანკის გამგეობას შესაფერი შუამდგომლობა აღძრას ფინანსთა მინისტრის წინაშე. ნება-რთვის აღების შემდეგ სესხს მისცემენ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაფერ დაწესებულებათა მიერ ჯეროვანად იქმნება შემოწმებული ხსენებული მამულები.

⁂ გაზ. „მშაკი“ სწერს, რომ სურამის ერთმა ქართველმა მემამულემ [illegible] ოვლა-მოშენებისა და წარმოების საქმესაო.

⁂ ქუთაისი. 30 ივნისს, დილის 5 საათზედ, ქალაქიდგან ერთის ვერსის მანძილზედ ჩამოარჩეს მალხაზა ძოგაშვილი და საბა თედეშვილი, რომელთაც ჩამორჩობა რამდენსამე დანაშაულობისათვის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა. ამ სასჯელის აღსრულებას დაესწრო ბრალმდებელი და მდივანი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი, საგუბერნიო მკურნალი, პოლიცმეისტერი და ყაზახები. ჯალათად იყო ქუთაისის საპატიმროს პატიმარი, ძმ ს მკვლელი აფხაზი.

29 ივნისს სახალხო სეირნობის დროს რამდენმამე ადგილობრივმა მცხოვრებელმა სიმთვრალისა გამო ჩხუბი დაიწყეს. ჩხუბის დროს ისე გაცხარდნენ, რომ ხანჯლები იძრეს და ერთმანეთს დაერივნენ. ერთი ისე მძიმედ იქმნა დაჭრილი, რომ იქვე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი სუბუქად იქმნენ დაჭრილნი.

⁂ თიანეთის მაზრის სოფ. სუბუკის მცხოვრებელი ლუბა ბაიდაური მდ. ალაზანში შესვლისათანაყე წყალმა მოიტაცა თურმე ცხენიანათ და ორივე დაარჩო.

⁂ თიანეთის მაზრის სოფ. მარელისის მცხოვრებელმა სესია ქოსებაშვილმა ჩხუბის დროს ორს ადგილას მძიმედ დასჭრა იმავე სოფლის მცხოვრებელი მიხეილ ყაზარაშვილი.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კეჯინი (სიღნაღის მაზრა). სამმა თუ ოთხმა წელიწადმა გაიარა, რაც ჩვენმა გლეხკაცობამ სეირიანად კუჭი კერ გაიძღო და იმის ოჯახობას ახლამდის არ გაჭყოლია სულადი; რასაც უნდა მიეაწროთ: გინდ ხალხის გაურჯელობასა და დაუდეგრობას და გინდ მიწის უნაყოფიერობას, მაგრამ არც ერთი არ შეგვიძლიან ვთქვათ დამტკიცებით. არც ის შეიძლება კთქვათ, რომ მართლა ასე ეოკეულ წელს არ მოდიოდეს პური მით უმეტეს, რომ პურის გარდა, სიმინდიც კარგს შემწეობ[illegible] [illegible] გლეხ-კაცობას. ძვ. წელს რომ ისე ბევრი არ მოსულიყო ჩვენში სიმინდი, არ ვიცი, რა უნდა ექმნა ჩვენს ხალხს. საკვირველია-გკვითხავთ, მაშ რაღასა სხეიეთოო?—თუ გნებავთ გაიგოთ სად მიდის ამოდენა სიმინდი და პური, შემიძლიან ეხლა კი კთქვა, რომ მიზეზი უკეთესია არის დაუდეგრობა და უყურადღებობა ჩვენის გლეხ-კაცობისა.

ეკვლეს მოეხსენება, რომ შემოდგომა ეკვლესათვის და, ნამეტნავად, გლეხ-კაცობასათვის გულ-უხვი და ნოყიერია. უეჭველია ეკვლესათვის ისიც, რომ სოფელში ძნელათ, თუ გამოიღეკიან „მძარცველი“ ბატონები, რომელნიც მანათად თუ ექვს ბაზზად კოდს პურს და ათ შაურად თუ ორ ბაზზად ქერს, სიმინდს და ფეტკს დაიკეთებენ ხოლმე ერთის წლის წინადვე.

მაგრამ ამასაც გაუძღებდა ჩვენი ხალხი, რომ სხვანაირს მახეს მაინც არ უგებდნენ ჩვენის გლეხ-კაცობის ქონებას სოფლის „ბატონები“. აი რაშია საქმე: სადაც დაკარდნიღი, გამხდარი და, რასაკვირველია, სამუშაოდ გამოუსადეგარისა კამბეჩია, სადაც ¼წელ-მოწეკეტილი სარია, თხა და რაც იქმნება, მაშინ იშოვიან ჩვენი მედუქნეები საკლავად. ან კი რას ამაკებენ. ეკვლა გლეხ-კაცს ხომ არ ეშოკება საკლავი და თუ ცხიმიანი ლუკმა არ შეჭამა მუშა კაცმა, რა იქნება. მერე არც ახელებს და ფულს არა სთხოვს: საწყალი კაცია,—ანდებინებს. ერთს ლიტრა სიმინდს მოატანინებს და ერთს გირვანქა კარგს კამბეჩის ხორცს მისცემს; თუ პური იქმნება, იმასაც ორ შაურობაზედ აიღებს; მაშ რა ჭქმნას, ხომ არ დაახელებს ნათლიმამებს და ფულს—არ მოსთხოვს: ფული სადა აქვს გლეხკაცს. ისიც, რასაკვირველია, არა ჭზოგავს, რადგან ჯერ ებულვება ოჯახში. ასე და ამ ნაირად დღეს, ხვალ, ზეგ და ჩვენი გლეხ-კაცი ხედავს, რომ გოდორს ძირი უჩანს: ახალ მოსავლამდის კი ხუთი ეკვსი თვე კიდევ რჩება. ახლა რა ჭქმნას ბეჩავმა; უნდა დღე-დღეურად ამუშაოს და ისე გამოიუკანოს თავისი ოჯახობა მეორე მოსავლობამდის. ორშაბათიდან კიდრე შაბათამდის საწყალი [illegible] კვირას ნამუშავრით უკიდის ხეტმელს ტოლსა და შვილს და თითონ მიდის ისევ სამუშაოდ. მაგრამ არას იჩიეღებს სატოდავი, თუ გასასყიდს ფქვილსა და ხორბალს მაინც იშოვნის თავისს სოფელში და სიარული არ მოუნდება. დიდი უბედურებაც ის არის წელს ჩვენთვის, რომ გასასყიდიც ადარ იშოვნება. ნეტავი ჩვენგან აღებულს სულადს ჩვენთვის მაინც ინახავდნენ და გაჭირვებაში გვიმართავდნენ ხელს, ვიდა იჩიეღებდა საძვირესა და მოტუუებას. ეხლა კი, მადლობა ღმერთს, ადარა გვიეჭირსრა, რადგან ქერები უკვე გაიჭრა და ბურსაც ჩქარა მოგვიან.

გარდა ამისა, რომ არ შეშრტხვეს. ჩვენს სოფელში შვიდი თუ რვა დუქანი იქნება. ეს რვა დუქანი რომ აკიღოთ და შეიძლებოდეს ერთმანეთთან შეკოწიწება, ერთს ხეირიანს დუქანს ვერ გამოვიეკანთ- ნუ გექნებათ იმედი, რომ რამე მოგინდეთ სავაჭრო დაიშოვოთ. დუქნებში იგივე ულაგიათ, რასაც მოსაარულე მეწვრილმანეებისაგან იშოვიან. ჩვენი დუქნები იმისათვის არის, რომ კვირა უქმე დღეს თავი უნდა მოიყარონ მთელმა სოფელმა დუქნის წინ. ჩვენ სოფელში ოთხი ძმაძლესია: რომ სვანგებოთ დაიარეთ, ერთს კვირა დღეს ეკვლა ძმაძლესიები, სულ ათს სულს კედარ ჭნახავთ. მთელი სოფელი შეკრებილია ან დუქნების წინ და ან სოფლის „კანტელარიაში“. ამისათვის ძალიან კარგი იქმნება ბირველად ის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მამასახლისმ, და თუ იმას არ შეუძლიან, ვისაც ჯერ არს, უბრძანოს ჩვენს ნატვლებსა და მედუქნეებს, რომ ვიდრე წირვა არ გამოვიდოდეს, არც სასამართლო და არც დუქნები ადონ.

მეორე ის, რომ ჩვენმავე სოფლის მეთვალყურეებმა შეუდგინონ ხოლმე მედუქნეებს ნიხრი და მესამეც ის, რომ, თუ შეიძლება თითონ, და თუ არა დაავალონ, ვისაც შეუძლიან, რომ ამ დენის უსარგებლო დუქნების მაგიერ, ერთი გაამართონ იმისთანა, რომელშიაც უფალოფერი საკაჭრო იქნება. ჯერ-ჯერობით ამასაც ვიკმარებდით და ადარას ვიჩიეღებდით, თუ ამას მაინც ეღირსებოდა ჩვენი სოფელი.

ძალლობა ღმერთს, წელს მოსავალს, როგორც ბევრგან აქეთ მსარეს, ისე ჩვენს სოფელშიაც, კარგი ბირი უჩანს, როგორც ღვინისა, აგრეთვე პურისა, ქერისა, სიმინდისას და სხ. თუ ასე მშვიდობიანათ გაიარა დღეებმა და რაიმე ნატეხი არ გამოუკარდა ჩვენს კენასებს (ქერს და ბურს კი ადარა უჭირს რა), საკვირველი არ იქმნება, რომ „ჩვენს ბედს ძალი კედარ დაჭეეფს“.

მ. ე.

რუსეთი

უმაღლესის ბრძანებისამებრ მთელის რუსეთის კადეტთა კორპუსებში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს და არა 16 აგვისტოს, როგორც დღემდის იყო მიღებული. ამ განკარგულების ძალით, იმ მოსწავლეთ, რომელნიც საზაფხულოდ ნახევარ აგვისტომდის არიან დათხოვნილნი, შეუძლიანთ 31 აგვისტოსათვის გამოცხადდნენ სასწავლებელში. მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა მოხდება იმ დღეებში-კი არა, როგორც დღემდის იყო, არამედ სულ სხვა დროს, სახელდობრ: 25 აგვისტოს გამოიცდებიან ის მცირე-წლოვანნი, რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იქმნებიან მიღებულნი, და 26 აგვისტოს-კი ისინი, რომელნიც თავადაზნაურობისა, რომელისამე დაწესებულებისა, კერძო კაცისა და ან თავისს ხარჯით იქმნებიან მიღებულნი.

— ფინანსთა სამინისტრომ გაკარგულება მოახდინა, რომ ხარჯის ამკრეფ ინსპექტორთ მუდამ წელს უნდა წარუდგინონ ხოლმე სახელმწიფო პალატებს ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი სოფელი იქმნა სრულიად განთავისუფლებული სახელმწიფო გარდასახადისაგან და რომელს სოფელს გაუნაწილდა რამდენსამე წლად სახელმწიფო გარდასახადი მცხოვრებელთა მოუსავლობით, სეტყვით და სხვა რამ გარემოებით დაზარალებისა გამოო.

— ბარონმა ლენვალმა 90,000 მ. შესწირა თურმე ქ. ვარშავაში დასაარსებლად განზრახული საჰიგიენო ინსტიტუტს.

უცხოეთი

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. ბევრი გაზეთი დღეს სერვერის ესკადრას განადგურ-

---

მაგრამ რას შეიტანს ახალს პოლიტიკაში ეგ თქვენი საქვეყნო კავშირი?

— იცით თქვენა, რა მდიდარია და როგორ არის აჭყვავებული ავსტრალია, კანადა, კაპის ახალშენი? იგი არ შეედრება საფრანგეთისა, გერმანიისა, იტალიის გალატაკებულ ახალშენებს. ვინ შეჰქმნა ეს ახალშენები? —ჩვენ. სადაც-კი დაეკარება ინგლისელისა და ამერიკელის ფეხი—იქ აჭყვავდება კულტურა, მეცნიერება, თვით-მმართველობა. ხოლო გერმანიასა და საფრანგეთს თან მიაქვს ყველგან მილიტარიზმი, ბიუროკრატია, განუვითარებლობა, აოხრება.

— კარგი და პატიოსანი. თქვენ მშვენიერი კოლონიზატორები ხართ. ეს ყველამ იცის. ვერც ფრანგები, ვერც გერმანელები თქვენ ვერ მოგყვეიან. მაგრამ პოლიტიკა?

— პოლიტიკა? თქვენ იცით, რის გამო მოხდა დიდი ომი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებ შორის 1861—64 წლებში?

— მონობის მოსპობისათვის.

— ეხლა ეს მითხარით, რისთვის ეომება შტატები ესპანიას? ყუბასა და ყუბელების თავისუფლებისათვის, არა?

— ...ჰო!.. ეგრეა?!.

ვ. მარველი

უცხოთა შორის

მუშა დედაკაცის მდგომარეობა ამერიკაში.—ლოველის ქარხანა და იქ მომუშავე დედაკაცნი.—სახელსაქმო ინსტიტუტი და სხვა სასწავლებლები.—მუშა დედაკაცის დამხმარებელი საზოგადოებანი.—დედაკაცის დაწინაურება.

ამერიკელი ქალი—ეს მხნე ბურჯი ოჯასისა, რომელიც მამაკაცთან ერთად მონაწილეობას იღებს ყოველგვარ საქმეში, ქარხანაში მუშაობითაც არ ჩამოუვარდება მამაკაცს. აბრეშუმის ჭიის გაშენება, შლიაპების ქსოვა სრულიად დედაკაცის ხელობაა. ისტორიამ კარგად იცის იმ სამ თავგამოდებულ დედაკაცთა სახელები, რომელთაც პირველად თავს იდვეს აბრეშუმის ჭიის გაშენება და გავრცელება. ესენი იყვნენ: გრაციაფიშერი, სუსანა ურაიტი და პინკნეი, რომელთა ღვაწლი ამერიკას ჯერაც არ დაჰვიწყებია. ასეთივე იყო ბეტი მეტკალფი, სრულიად ახალგაზდა ქალი, რომელმაც ჯერ ისევ ბავშობაშივე გამოიგონა ადგილობრივ ჭილისაგან მშვენიერი შლიაპების ქსოვა, ამ გვარი შლიაპები მერე მთელს ქვეყანას მოეფინა. ამ გამოგონებით მან საძირკველი ჩაჰყარა მრეწველობის ერთის დარგისა, რომელზედაც ამ ჟამად 11,000 ქალზედ მეტი მუშაობს და თავს ირჩენს.

შემდეგში, როცა ამერიკაში მრეწველობამ იმატა და ქარხნები გამრავლდა, ამერიკელმა დედაკაცმა აქაც დიდი მონაწილეობა მიიღო. მარტო ლოველის ქარხანაში, რომელიც ამ საუკუნის მესამე წლებში დაარსდა, 12,507 დედაკაცი მუშაობდა. აქ მომუშავე დედაკაცნი მეტად სანატრელ მდგომარეობაში იყვნენ და არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიოთ მათი ყოფა-ცხოვრება. უმთავრესს ყურადღებას იპყრობს მათი განსხვავებით ცხოვრება, რომლის მსგავსსაც ვერსად შეხვდებით. მუშაობის გათავების შემდეგ, (დღეში —12—14 საათი), მომუშავე დედაკაცნი ისეთს საქმესა სწირავდნენ დროს, რომელიც ევროპიელს საეჭვოდ ეჩვენება... შესწყდებოდა თუ არა ქარხნებში მუშაობა, ამ დედაკაცთა სადგომ შენობაში ასტყდებოდა მხიარულება: ერთნი მუსიკას უკრავდნენ, მეორენი — ცეკვავდნენ, სხვები გუნდს ადგენდნენ და მღეროდნენ, ზოგნი ჰკითხულობდნენ წიგნებს, ზოგნი კიდევ ცალკე ოთახებში კარჩაკეტილნი ლექსებსა ან მოთხრობებს სწერდენ. ყოველ თვიური ჟურნალი „Lowell offering“, რომელსაც ქარხანაში მომუშავე ქალები ჰბეჭდავდნენ, სავსე იყო მათის ნაწერებით. ამ ნაწერების ღირსებას აღტაცებაში მოჰყავდა მრავალნი. დიკენსის სიტყვით, ეს ჟურნალი იმდენად სრული იყო, რომ შეეძლო თავი მოეტანა ინგლისის ბევრს საუკეთესო ჟურნალებთან, მიუხედავად იმისა, რომ ქალები იძულებულნი იყვნენ ეწერათ მთელის დღის დაქანცვა-დაღალვის შემდეგ. ზოგიერთნა მწერალმა-დედაკაცებმა მთელს ხმელეთზედ გაითქვეს სახელი; ასეთები არიან: ქ. ლუისი ლერკი, ქ. რობინზონი, მარგარიტა ფოლე და სხვ. ქ-ნმა რობინზონმა თავის წერილში, რომელიც ვაშინგტონის გამოფენაზედ წაიკითხა 1888 წელს ლოველის ქარხნის შესახებ, სხვათა შორის სთქვა: „მე ლოველის ქარხნებს ჩემს alma Mater-ათა ვსთვლიო და ისევე მომაქვს მისით თავი, როგორც ყოველ ქალს საუკეთესო კოლეჯში კურს-დამთავრებით“. თუმცა ეხლა ამგვარს მდგომარეობაში აღარ არიან მუშა დედაკაცნი, რადგანაც როგორც ქარხანათა რიცხვმა, ისე მუშებისამ შესამჩნევად იმატა, მაგრამ ამერიკელი მუშა-ქალები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ევროპიელნი.

ამერიკაში სხვა-და-სხვა ხელობისა და ხელ-საქმის შესასწავლად მრავალი სასწავლებელი არის. პირველი ასეთი სასწავლებელი იყო კუპერის ინსტიტუტი, რომელშიაც სხვა-და-სხვა ხელ-საქმეს ასწავლიან 400 ახალ-გაზდათ. ამ სასწავლებლის დიდი და მშვენივრად მოწყობილი ოთახები სავსეა სხვა-და-სხვა სახელსაქმო იარაღით, წიგნებით, სურათებით. მისი უდიდესი ბიბლიოთეკა შეიცავს 31,000 წიგნს, იღებს ყოველ წლივ 289 ჟურნალს, 399 ამერიკულსა და უცხოეთის გაზეთსა. მოსწავლე ქალები სხვათა შორის სწავლობენ ხატვას, ფოტოგრაფიით სურათების გადაღებას და სხვ.

ყოველ წლივ ასი ქალი ამთავრებს აქ სწავლას და დღითი-დღე უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ბრალს ბლანკოსა და მთავრობასა სდებს. ამ გაზეთების აზრით, მთავრობას რომ ნება მიეცა სერვერისათვის წინად გასულიყო სანტ-იაგოდვან, ამ ჟამად იმის ესკადრა ჰავანაში იქმნებოდა და უბედურება აღარ დაატყდებოდა. მადრიდიდგან სერვერას დეპეშა დეპეშაზედ მოსდიოდა: არამცა და არამც სანტ-იაგოდგან ფეხი არ გასდგაო. სერვერაც ფეხს არ იცვლიდა და მომწყვდეული იჯდა ნავთსადგურში. ხოლო, როდესაც სამპსონმა მთელი თავის ესკადრის გემებს ნავთსადგურთან მოუყარა თავი და შაფტერიც იერიშით მივიდა სანტ-იაგოზედ, მთავრობამ შეუთვალა ადმირალს, აბა თუ მამაცი ხარ, ეხლა უშველე თავს და როგორმე ესკადრა გაიყვანეო. ამ დროს-კი ესკადრის გაყვანა ყოვლად შეუძლებელი იყო. სერვერის შეეძლო წინად, როდესაც ანტილიის კუნძულებს მიუახლოვდა ჰავანაში უხიფათოდ მისულიყო რადგანაც ატლანტიის ზღვაში მყოფი სამპსონის ესკადრა კი-ვესტში დაბრუნდა და სერვერას გზას ვერ გადუღობავდა. სამპსონი მხოლოდ ორის კვირის შემდეგ დაბრუნდა სანტ-იაგოში, სერვერას ამ დროთი უნდა ესარგებლნა და ჰავანისაკენ წასულიყოო.

— გაზ. „Nem—York—Herald“-ის კორესპოდენტს დატყვევებული სერვერა უნახავს და ლაპარაკი ჰქონია მასთან. სხვათა შორის სერვერას უთქვამს, რომ როდესაც ნავთსადგურიდგან გამომყვანდა ესკადრა, მე კარგად ვხედავდი, რა განსაცდელიც მოელოდა მას, მაგრამ სხვაფრივ საქმის წაყვანა შეუძლებელი იყოო. ნავთსადგურში რომ დავრჩენილიყავით, უომრად ამოჟლეტის მეტი არაფერი არ მოგველოდა, ეხლა-კი თუმცა დავმარცხდით, მაგრამ ფლოტის სახელი და პატიოსნება მაინც დავიცავიო. საადმირალო გემის მესამე ლეიტენანტს ჟუან არნარსაც ულაპარაკნია გაზეთის კორესპოდენტთან. „გამოსვლის დროს, უთქვამს ლეიტენანტს, ერთად-ერთი იმედიღა გვასულდგმულებდა, სახელდობრ ის, რომ იქნებ ამერიკელებმა ვერ შეგვამჩნიონ და როგორმე გავცდეთ ხიფათსაო. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ამერიკელებს ყური მარჯვეთ ეჭირათ და ფლოტი სრულიად გაანადგურეს. ადმირალმა გადასწყვიტა, მადრიდიდგან მოსულის ბრძანების თანახმად, სანტ-იაგოს ნავთ-სადგურს ოთხშაბათს დაანებოს თავი და ჰავანისაკენ გაემართოს. ფლოტმა საჭირო სურსათი და ნახშირი დაამზადა და ქალაქში საბრძოლველად წასული ზღვაოსნები დაიბარა. ყველა ვგრძნობდით, რომ სიკვდილის მეტი არაფერი მოგველოდა, მაგრამ მაინც კვირას, დილის 9 საათზედ, პირჯვარი დავიწერეთ და გზას გავუდექით. გამოვცდით თუ არა გამოსასვლელს, სამპსონის ესკადრა წინ შეგვეფეთა. ეს ესკადრა გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ბრძოლის დაწყებიდგან ათის წუთის შემდეგ იმ გემის ზარბაზნები, რომელზედაც მე ვიყავი, ისე ძლიერ გახურდა ხშირის სროლისაგან, რომ მათი ხმარება შეუძლებელი შეიქმნა. ამ რიგად ჩვენ სახელისა და პატიოსნების მეტი ყველაფერი დავკარგეთ.“

— გაზეთების სიტყვით, სამპსონმა ნება მისცა ადმირალს სერვერს ესპანიის მთავრობას დეპეშა გაუგზავნოს. ამბობენ, რომ სერვერი ურჩევს მთავრობას ომს თავი გაანებეთ და ზავი მოითხოვეთ, რადგან ამერიკა იმდენად ძლიერია, რომ იმას ჩვენ ვერაფერს დავაკლებთო.

— მეამბოხეთა წინამძღოლებს გარსიასა და კასტილიოს შეერთებულის შტატების მთავრობისათვის უთხოვნიათ, რომ როდესაც ჯარი სანტ-იაგოს აიღებს, ეს ქალაქი ჩვენ, მეამბოხეთ გადმოგვეცითო. მეამბოხეთ აზრადა აქვთ სანტ-იაგოში თავიანთი მთავრობა დააარსონ, მაგრამ ვაშინგტონიდგან უარი მოსვლიათ.

— გაზ. „Berl. Tageb.“-ის მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სანტ-იაგოს ბრძოლაში ესპანელებს 600 კაცი მოუკლესო. სანტ-იაგოში მყოფ ესპანიის ჯარის მთავარ სარდალმა ლინარესმა, რომელმაც ჭრილობისა გამო დროებით უფროსობა სხვას ჩააბარა, ხელ-ახლა იკისრა ჯარის წინამძღოლობაო.

— გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ სამპსონის ესკადრის ერთის უმნიშვნელო გემის, — „Gloucester“-ის შესახებ, რომელმაც ესპანიის ორი დიდი და კარგად შეიარაღებული გემი, — „Furor“-ი და „Pluton“-ი დაამარცხა. საქმე ასე ყოფილა. ესპანიის ამ ორ გემს დაუნახავთ თუ არა „Gloucester“, იმწამსვე იმისაკენ გაქანებულან და ყუმბარების სროლა დაუწყიათ. ამ უკანასკნელს არამც თუ არ შეჰშინებია და არ გაქცეულა, არამედ ერთ ადგილას გაჩერებულა და საშინელი ტყვია დაუშენია მოწინააღმდეგისათკის. რამდენისამე წუთის შემდეგ დაზიანებულს და დაზარალებულს „Furor“-ს ნაპირამდის ძლივს მიუღწევია, ხოლო „Pluton“-ს ცეცხლი წაჰკიდებია და ნაპირზედ მიჯახებულა. „Gloucester“-ი სწორედ ის გემია, რომელმაც ადმირალი სერვერი ჩაიგდო ტყვედ.

— კარლისტები თავისას არ იშლიან და ხალხს უფრო და უფრო აღელვებენ. გაზეთების სიტყვით, დონ-კარლოსმა ერთს თავის მომხრეს უკვე გაატანა მანიფესტი ისპანიაში გამოსაცხადებლად. მანიფესტში ნათქვამია, რომ ეხლა ომის მოსპობა და ზავის დადება სამშობლოს გაყიდვაო. თუ მთავრობამ ეს საქმე ჩაიდინა, მე იმ წამსვე ამბოხებას მოვახდენ, აწინდელ მთავრობას მართვა-გამგეობას გამოვაგლეჯ და ხელ-ახლად გამოუცხადებ ამერიკას ომსაო.

— როგორც ვენაში მიღებულის დეპეშიდგანა სჩანს, კარლისტებს აზრადა ჰქონიათ 23 ივნისს მოეხდინათ რევოლიუცია, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო ეს განზრახვა შეუცვლიათ. დეპეშაში ნათქვამია, რომ აწინდელ სამეფო გვარეულობას დიდი შიში მოელისო. დედოფალი შიშით გარედ ველარ გამოდის. მადრიდში ხალხი ისე ძლიერ არის აღელვებული, რომ მთავრობის ვერც ერთს წევრს ქუჩაში თავი ველარ გამოუყვიაო. თუმცა ყველგან ჯარია ჩაყენებული, მაგრამ იმის იმედი ნაკლებადა აქვთ, რადგან შეიძლება ჯარმაც უღალატოს მთავრობასაო.

—

ოსმალეთი. გაზეთები იუწყებიან, რომ იემენში არაბებმა დიდი ამბოხება მოახდინესო. მეამბოხენი, რიცხვით 30,000 კაცი, შემოერტყნენ უმთავრესს ქალაქს, სადაც პროვინციის გენერალ-გუბერნატორი აჰმედ-ფრეზე-ფაშა სცხოვრობს. ბრბოს წინამძღოლობს ერთი იმამი, რომელიც არაბების სიტყვით მაჰმადის შთამომავალია. მთელს პროვინციას მეამბოხეთ შიშის ზარი დასცეს. მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა შეუძლებელი შეიქნა. ხალხი შიმშილისაგან ათასობით იხოცებაო.

—

გერმანია. გერმანიის სტუდენტების წარმომადგენელებმა უკანასკნელ კრებაზედ ეიგენახში, დაადგინეს იმპერატორის ვილჰელმს მისალოცდეპეშას ნულარ გაუგზავნით, რადგანაც იმპერატორმა არც ერთს წინანდელს დეპეშაზედ პასუხი არ გაგვცაო. სტუდენტთა გაზეთები სწერენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ყოვლად საფუძვლიანიაო.

დამაკვირდი

თუმცა ვარსკვლავებრ მეფისა გული ღვთის ხელთა მდებარებს, მაგრამ ძარის ადამის, შეტოლმის სისხლით მგებარებს.

იოანე გეგენტკორი

* * *

დაუტევეთ ბერანგი მხოლოდ გვამსა ჩემსა ზედა და ნუ მოოფთ სრულიად შიშველ, კინაითგან თქვენცა ნაშრომნი დედათნი ხართ ჲ არა ჯერ არს მამაკაცთაგან ჭვრეტა შიშველთა დედათა.

წმ. ქეთევან დედოფალი

* * *

—სადა უშენო სახლი ღმერთსა? (წმ. მარიან).

—სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს (წმ. ნინო).

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შირვანის უკანასკნელ ხანის მუსტაფას ამალაში იყო ერთი კაცი, სახელად ბაბა-ბეგ ქერიმ-ბეგ ოღლი.

ბაბა-ბეგ მაღალის ტანის კაცია. მეტადღონიერი და მარჯვე და ამასთანავე მხიარული. ვინც კი ნახავს, იმისი ქებით აღარ არის ხოლმე. 1827 წელს, როდესაც მუსტაფა ხანი სპარსეთს გაიქცა, ბაბა-ბეგ თვისის ოჯახობით და ცხვრის ფარით მთიდგან ბარში ჩამოვიდა.

ცოტახანს შემდეგ ბაბა-ბეგმა აირჩია მშვენიერი საძოვარი ადგილი მდინარე აგრის მახლობლად (რომელსაც ეწოდება აღსუე. ეს ადგილი მდებარეობს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ საგირის მახლობლად. აიშენა აქ ქოხი და დასახლდა თვისის ოჯახობით, რომელიც მაშინ შესდგებოდა ათის სულისაგან.

ამ ჟამად ამ ადგილას, რომელსაც სახელად ეწოდება არაბი, ითვლება სამოცზედ მეტი სული, ბაბა-ბეგის ჩამომავლობა.

თვით პატრიარქი ბაბა-ბეგ ამ ჟამად 130 წლისაზე მეტისაა, ძლიერ კარგადა ჰარძნობს თავისს თავს, თმა ჯერ არ გასთეთრებია, კბილებიც საღი აქვს. ბაბა-ბეგ ხშირად ეჯიბრება ხოლმე ჯირითში თავისს შვილიშვილი-შვილს. მახლობელ სოფლების არც ერთს კაცს არ შეუძლიან ისე მარჯვედ ცხენის დაჭერა ქამანდით, როგორც ბაბა-ბეგს. სულ მუდამ პირში ჩიბუხი აქვს და თუთუნს ეწევა. რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ბაბა-ბეგს მეხუთე ცოლი გარდაეცვალა და ეხლა მეექვსე ცოლის შერთვას აპირებს.

* * *

„გაინძრევა ესპანია და მთელი დედამიწა შეირყევაო.“ ამბობდნენ ევროპაში მეფე ფილიპეს დროს (XVI საუკუნე). ეს სიტყვები სიმართლეს არ იყო მოკლებული. იმ დროს ესპანია მთელს ევროპას შიშის ზარსა სცემდა. ამ ჟამად ესპანია წარმოადგენს მხოლოდ წარსულის დიდების აჩრდილს.

მერე რამ მიიყვანა ოდესმე ასეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც იყო ესპანია, ამ დაქვეითებამდე? თვით ისტორია იძლევა ამის პასუხს. ესპანიის ისტორია გვიმტკიცებს, რომ ამ სიხელმწიფოს გარეგან დიდებას ხშირად თან მოსდევდა მისი შინაური დაქვეითება. გამოჩნდებოდა ესპანიაში შესანიშნავი მეცნიერი, ან კიდევ შესანიშნავი მოგზაური, რომელიც დაუპყრობდა ესპანიას ახალს ქვეყნებს, გაძლიერდებოდა და გამხნევდებოდა მთელი ქვეყანა. გაიხედავდა ცოტა ხანს შემდეგ ძლიერსა და დიდებულს ესპანიას შეიპყრობდა ხოლმე სიღარიბე, გაუნათლებლობა, უგუნურობა...

თვით მდებარეობა ესპანიისა მისთვის საბატულობს და იზრდება ეს რიცხვი. გარდა ამ სასწავლებლისა, ამავე საგანს ემსახურება, ესრედ წოდებული „ახალგაზდა ქალთა კავშირი“, რომლის განყოფილებანი ამერიკის ყოველ დიდ ქალაქში არის. ეს კავშირი აარსებს დაბა-ქალაქებში უსასყიდლო კურსებს, სადაც ასწავლიან ქალებს არითმეტიკას, ბუღგალტერიას, მართლ-წერას, ჭრა-კერვას, ხატვას, ფოტოგრაფიას და სხ. ქალების გონებრივ ასამაღლებლად ესევე კავშირი აარსებს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, მუსიკალურ სასწავლებლებს, ლექციების კითხვას. ამავე კავშირსა აქვს ყოველგან კანტორები, სადაც შეუძლიანთ მუშა-ქალებმა გაიგონ, სად არის თავისუფალი ადგილი და ვის ეჭირვება მათი ნაწარმოები. 1887 წელს ამ კავშირის დახმარებით 6,000 ქალი სარგებლობდა. მოსწავლეთა რიცხვი ამ კურსებში 1965 აღემატებოდა.

ამას გარდა არსებობს „მუშა-ქალთა დამცველი საზოგადოება“, რომელსაც საგნათა აქვს დაიცვას მუშა ქალები ქარხნების პატრონთა მოტყუებასა და თავ-გასულობისაგან და უშოვოს მათ შესაფერი ადგილი და ხელ-საქმე. თუ რამდენად ნაყოფიერია ამ საზოგადოების მოქმედება, იქიდგანა სჩანს, რომ 15 წლის განმავლობაში გაარჩია 12,000 საქმე და მოიგო 41,000 დოლლარი. (დოლლარი უდრის ორ მანათს).

მრავლად არის ესრედ წოდებული საზოგადო მაღაზიები, რომელშიაც შეუძლიან ყოველს ქალს მიიტანოს თავისი ნაწარმოები და მის საშუალებით გაჰყიდოს, სრულიად მცირე სასყიდლის გაღებით მაღაზიის სასარგებლოდ. ამ ბოლო წლებში შესამჩნევად იმატეს ასეთმა მაღაზიებმა და დღეს მათი რიცხვი 100-ს აღემატება. ამგვარი მაღაზია რამდენიმე დიდ დარბაზისაგან შესდგება, რომლის კედლებიც სავსეა სხვა-და-სხვა ნამუშავრით: ხალიჩებით, ქეჩებით, მშვენივრად ნაკერის ბალიშებით, სუფრა-სალფეტკებით, სხვადა-სხვა სანოვაგით, და სხ.

მუშა ქალთათვის სხვათა შორის არის განსაკუთრებით მათთვის აშენებული სახლები, სადაც შესაფერ ფასად შეუძლიანთ იქირაონ ყოველ მხრივ მოწყობილი ოთახები. ეს სახლები ისე მშვენივრადა და კარგად არის მოწყობილი, რომ ევროპის ზოგიერთ საუკეთესო სასტუმროებს არ ჩამოუვარდება. ყოველ ამგვარ შენობას აქვს მშვენივრად მოწყობილი მდიდარი ბიბლიოთეკა, სამკითხველო, აბანო, სასეირნო ბაღი და სხ. ასეთს შენობებში ცხოვრება ჭამა-სმით ღირს კვირაში სამი დოლარი და რადგანაც მუშა ქალი კვირაში 4—6 დოლარს იღებს, ამიტომ საშუალება ეძლევა შავი დღისთვისაც ცოტა ოდენი კიდევ შეინახოს. ასეთი სახლები ქ. ბოსტონში ექვსია, რომლებშიაც 300 ქალზედ მეტი თავისუფლად თავსდება. ზოგიერთს ასეთს შენობაში უფასოდ ასწავლიან მცხოვრებლებს ენებს, ბუღგალტერიას, სტენოგრაფიას, ხატვას, ჭრა-კერვას და სხ. არსებობს ასეთივე ცალკე „კომისია ქალთა მოგზაურსათა“, რომელსაც საგნადა აქვს დაეხმაროს ადგილის შოვნაში შორიდგან მოსულს ქალებს.

აქ ჩამოთვლილ კავშირთა და ამხანაგობათა გარდა, რომლებშიაც ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებასა სცდილობენ, მრავალნი სხვანიც არსებობენ, რომელთა ჩამოთვლასაც საჭიროდ არა ვსთვლით. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ქალების ასეთის მეცადინეობით მათი მდგომარეობა შესამჩნევად მაღლა სდგას და ევროპიელ მუშა ქალისათვის ძნელად წარმოსადგენია. ამერიკელი მუშები სანატრელს ცხოვრებაში არიან. მათი სადგომი სახლები შემკულია მრავალის ყვავილებით, საუცხოვო ავეჯით და მორთულობით. მუშა ქალებს დრო და შეძლება ხელს უწყობთ დაესწრენ სამუსიკო საღამოებს, თეატრებს, ლექციებს, გამოფენებს და სხ. ერთმა მკერვალმა ქალმა განგებ დაიქირავა ოთახი შუა ქალაქში, რომ თავისუფლად შესძლებოდა კონცერტებსა და წარმოდგენებზე დასწრება. მეორე კიდევ მშვენიერს ლექსებსა სწერდა და საუკეთესო ჟურნალში აბეჭდვინებდა. სხვა მუშა ქალები კიდევ მონაწილეობას იღებენ საერთო კრებაში, კლუბში, კამათში და სხვ. ასეთის მუშა ქალების სახლებში ხშირად შეჰხვდებით პიანინოს, როიალს, ან კიდევ სხვა რომელსამე სამუსიკო იარაღს, რომელზედაც დიასახლისი მუდამ უქმე და კვირა დღეებში უკრავს და ართობს ოჯახს. შუა რიცხვით მუშა ქალი აქ წელიწადში $272^1/_2$ დოლლარს იღებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნი 300 და 350 დოლლარს იღებენ წელიწადში.

აი ასეთს სანატრელს მდგომარეობაში არიან ამერიკელი მუშა ქალები, მათ ყოველ მხრივ გარემოება ხელს უწყობს არც არაფერი მოიკლონ და არც არაფერს დააკლდნენ. განივითაროონ თავისი ჭკუა-გონება და კეთილად აღზარდონ შვილები. ამისათვის მრავლად არსებობს უსასყიდლო ბიბლიოთეკები და სასწავლებლები. ამერიკელ მუშა-ქალს დღესასწაულებში ვერ იცნობს კაცი, ისეთ ნაირად არის გამოწყობილი და მორთული. საზოგადოდ, ამერიკელი მუშა-ქალები შუათანა წოდების ქალს მოგვგონებენ და იმათზედ უკეთესად თუ არა სცხოვრობენ და არ იცვამენ, ნაკლებად მაინც არა. ამერიკაში ყველა იმასა სცდილობს, ქალების მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესოს, როგორმე აამაღლოს და ამისთვის არაფერს ძალასა და ღონეს არ იშურებს. ამავე დროს კი ევროპაში მუშა-ქალები სისაწყლესა და სიღატაკეში არიან და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯერ კრინტიც არავის არ დაუძრავს.

შ. კავკაველი

ესარგებლო იყო. იგი წარმოადგენდა გზას, რომელზედ უნდა გაეარა ხალხს აღმოსავლეთის ქვეყნებიდგან დასავლეთის ქვეყნებამდე. მას აქეთ, რაც კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, ესპანიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელის ქვეყნის ისტორიაში. მრავალ გვარ გარემოებათა გამო ესპანიელის ხასიათი სწორედ რომ საოცარი გახდა. ესპანიელი კაცი მაღალის ტანისაა, მაგარი, ძლიერ ცოცხალი, ღაუღალავი სიარულში, სწორედ საოცარია, რამდენის გაპირვების ატანა შეუძლიან ესპანიელს.

„ზეთის ხილი, მწვანილი და ბოლოკი რაინდის საჭმელია“—ამბობს ესპანიელების ანდაზა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ესპანიელმა გაუძლო ყოველ გვარ გაპირვებას ამერიკაში, ბრძოლის ველზედ ესპანიელს ვერავინ აჯობებს. ესპანიელი მამაცია, მარდი, თავხედი და ღონიერი. თუ ესპანიელმა საქმეს მოჰკიდა ხელი, შეასრულებს, ან ზედ შეაკვდება.

საკვირველი არ არის ამიტომ, რომ ესპანიელი თავისს თავს აფასებს. რაც უნდა უბედურება ეწვიოს, რაც უნდა გაუპირდეს, მაინც ქედს არ მოიხრის. ესპანიელი მკვეხარაა, მაგრამ საუთიც-კი აქვს დაკვეხებისა, რადგანაც თუ რამე სთქვა, იმ წამსვე შეასრულებს კიდეც. ამასთანავე ძლიერ გოროზი და ამპარტავანია, თავმოყვარეც, მაგრამ ამავე დროს სხვისს თავმოყვარეობასაც პატივსა სცემს. ყბედია, მთელს დღეს ყბედობაში გაატარებს, მაგრამ თუ საქმემ მოითხოვა, ერთი სიტყვა საკმარისია, რომ დაჩუმდეს და ყურადღებით მოგისმინოს. მშვენიერ თვისებასთან ერთად, დიდს ღირსებასთან ესპანიელს ძლიერ ბევრი ნაკლიცა აქვს. ერთის სიტყვით, მისი ხასიათი საოცარი და გაუგებარია. მეტად გაუნათლებელი და უგუნური ესპანიელი მეტად ოხუნჯი და მგრძნობიარეა, ერთსა და იმავე დროს ულმობელი, ჯავრის ამომყრელი და სულმაღალი, გულკეთილია. სწორედ ეს ხასიათი ესპანიელისა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ თვით ესპანია ხან მძლავრი და დიადი იყო, ხან უძლური. ამ ჟამად ესპანია შეება უფრო ღონიერს მტერს ამერიკას და არავის ეშვი არა აქვს, რომ დამარცხებულ იქმნება. საქმე ის არის მხოლოდ, ეხლაც გაუძლებს ბედის უკუღმართობას და მერე როგორმე მოიბრუნებს სულს, თუ ეს დამარცხება—უკანასკნელი იქმნება და ბოლოს მოუღებს სამუდამოდ.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(დასასრული *)

დაბეჭდილ ლექსიკონთან შედარებით ხელნაწერ ვარიანტში განსხვავება შეინიშნება თვით სიტყვების ახსნაშიც.

დაბეჭდილი ლექს.	**ხელთნაწ. ლექს.**
აყარი, სხუნის ლ ტანი, გინა საკიდარისა.	აყარი, სხვენი [1]) ლატანი, გინა საკიდრისა.
ახს, ახლოს, მოკლედ.	ახს, ახლოა.
აკდომა, მაღლა შესევა.	აკდომა, მაღლა შევლა, გინა სიზმრის გამოჩენა.
აკდენა, სიზმართ გამოცხადება.	
აჯაფათა, დარეჯანიანში მოუყვანიათ, ენა არს არაბთა, საკვირველსა ჰქვიან.	აჯაფთა, დარეჯ. მოუყუანიათ, არაბთა ენაა და სხ.
აჯობინა, მოირივა.	აჯობნინა, მოირივა.
აჰგო, ქება.	აჰოგ, ქება.
ბაალაშ, მპყრობელი, ბომონი, გინა ეშმაკი.	ბაალამ, ერი ამაო.
(? ?).	ბაალიმ, ბომონი მპყრობელი, გინა ეშმაკი.
ბაბილო, მაღალი ვენახი.	ბაბილო, მაღალი ვაზი.
ბაბღანა, მფრინველია მოწყენილი, რომელსა თურქნი ბუთიმარს უკმობენ.	ბაბღანი, ფრინველია მოწყენილი, წყლის უსმელი და სხვ.
ბაია, თვალის გუგა; ბაიას ჩჩკლი ჩჩკილს უწოდენ.	ბაია, თუალის გუგა; ბაიას ჩჩვილნი ჩჩვილსა უწოდენ.
ბალღამი, სხუათა ენა, ფელღამია ქართულად.	ბალღამი, სხუათა ენაა ფელღამი ჰქვიან [2]).

ადარ ჩამოვთვლით მრავალს სხვა განსხვავებასაც. ამ მაგალითებიდან აშკარად სჩანს, რომ დაბეჭდილ ლექსიკონის პატივცემულ რედაქტორს ან რიგიანი ვარიანტი არა ჰქონია ხელში და ან ბეჭდვის დროს კორექტურული შეცდომები შეჭპარვია.

სიბას ლექსიკონი კარგა ხანია, რაც დაიბეჭდა ყოველად სამღვდელო გურიასამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს სიფასით და, კარგი იქნება, რომ ღვთივ-განბრძნობილმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა მეორე გამოცემა გაამართვინოს ამ ახალ ვარიანტის მიხედვით.

დაგვშთა სათქმელი ისიც, რომ ამ სულ ნაწერში, ქართულ სიტყვების შირდაპირ, ცალკე წკრიალებში ჩაწერილია აგრეთვე სომხური და თათრული სიტყვებიცა, თუმცა და არა ყველგან.

ხელ ნაწერის ბოლოში სიბა სწერს (გვ. 493): „ეს ართრონი თათრულად არი და ქართულად არა, შვილსა თუ რასაც თურსა ერთ სიტყვას რომ ამ ართრონს მოაბამს, ითი შეიტყობა, როგორც დამიწერია, ქართულათაც დაკაწერე, ვისცა უნდა, იქნება.“ და შემდეგ სიტყვას „ოღლი“ (შვილი) მოაბამს სსენებულს ართრონს და ასრე თარგვნის:

ოღლუმ, ჩემი შვილი, შვილიმი.
ოღლანდარუმუზ, ჩვენი შვილნი, შვილებიმინი.
ოღლუმუზ, ჩვენი შვილი, შვილიმინი.
ოღლანდარუმ, ჩემი შვილები, შვილებიმი.
ოღლუვ, შენი შვილი, შვილიმუ.
ოღლანდარუზ, თქვენი შვილები, შვილებმუნი.
ოღლუზ, თქვენი შვილები, შვილიმუნი.
ოღლანდარუვ, შენი შვილები, შვილებიმუ.

უკანა ეს თათრული სიტყვები და აგრეთვე სხვებიც (მთელს ლექსიკონში) სამს სწორედ ჩაუწერია, ხოლო კერ შეუნიშნავს, რომ ამ თათრულს ართრონს ჭკვეს აგრეთვე უარ-ყოფილი ნაწილაკიცა. მაგალ.: გეზიირამ (დაკვდიკარ), გეზმიირამ (არ დაკვდიკარ) ჭიირამ (ვჭამ), ჭიმიირამ (არა ვჭამ) იჩდუმ (დაკვლიე), იჩმადუმ (არ დაკვლიე), ოთურდუმ (დაკჯექ), ოთურმადუმ (არ დაკჯექ).

მ. ჯანაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ივლისი

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტროს გამგე გენერალ-ლეიტენანტი კუროპატკინი დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად.

პარიჟი. მაიორი ესტერგაზი დაპატიმრებულ იქმნა თავისის საყვარელ ქ ნ პეიოურთ.

[2]) ბალღამი ქართული ფორმაა სხვათა ენის ფელღამისაო, მართლად განმარტავს სიბა და, წარმოიდგინეთ, დაბეჭდილში მას წარმოათქმევინებენ „ბალღამი სხვათა ენაა და ქართულად ფელღამი ჰქვიანო!“

პიკარის საქმეში გაჩხრიკეს და სხვა-და-სხვა ქაღალდები წაიღეს. ბრბომ სახლის წინ მანიფესტაცია გამართა.

პარიჟი. ესტერგაზი დაპატიმრებულ იქმნა იმიტომ, რომ სიყალბის ჩადენა და სიყალბით სარგებლობა ჰბრალდება. ამ დაპატიმრებას კავშირი აქვს იმ დეპეშებთან, რომელიც მაიორმა ესტერგაზიმ პიკარს გაუგზავნა და რომელსაც ქვეშ „Speranza“ აქვს მოწერილი.

პიკარი დაპატიმრებულ იქმნა იმ დროს, როდესაც გამომძიებელის კაბინეტიდგან გამოდიოდა.

პარიჟი. სოციალისტ ფურნვერს უნდოდა შეჰკითხებოდა მთავრობას პიკარის უკანასკნელ წერილის შესახებ. ბრისონმა სთქვა, ეგ საქმე ერთის თვით გადავდოთო. კავენიაკმა განაცხადა, რომ პალატა არ მოისურვებს ყოველ დღე ის საგანი განიხილოს ხოლმე, რომელიც მთავრობამ თავისის მხრივ განმარტაო. პალატას არ შეუძლიან ყურადღება მიაქციოს იმ კაცის სიტყვებს, რომელსაც არასოდეს არ უნახავს საბუთის ქაღალდები. პალატამ 498 ხმის უმეტესობით 24 ხმის წინააღმდეგ დაადგინა გადასდოს ერთის თვით ამ საქმის განხილვა.

ოდესსა. პეტერბურგში მიმავალ ბოლგარიის მთავარს მეუღლისა და შვილის ბორისითურთ 7 ივლისს მოელიან ოდესსაში. აქაური ბოლგარელები ემზადებიან, რომ მიეგებნენ მთავარს. აზრადა აქვთ ადრესი მიართვან.

ვენა. ნემენცთა დასების მეთაურების კრებაზედ უარ ყოფილ იქმნა მთავრობის წინადადებანი ენათა შესახებ. კრებამ განაცხადა, რომ ჩეხებს ბევრს უთმობენო.

ბოსნიაზი. მეამბოხეთ ცხრა ქალაქი აიღეს და ვუ-ჩოის დასავლეთით დაამარცხეს იმპერატორის ჯარი. ვუ-ჩოიში გაავრცელეს ბარათები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ომი მოხელეების წინააღმდეგ არის დაწყებულიო. მთავრობის წარმომადგენელთ იყიდეს კანტონში 8,000 თოფი და მოლაპარაკება დაიწყეს ზარბაზნების ყიდვის შესახებ.

სოფია. ფილიპოპოლში ჩამორჩობილ იქმნენ ანნა სიმონის მკვლელნი—როტმისტრი ბოიჩევი და პოლიციის პრეფექტი ნოველიჩი.

პარიჟი. ესტერგაზის დაპატიმრება გადაწყვეტილ იქმნა მაშინ, როდესაც განიხილეს სხვა-და სხვა საბუთის ქაღალდი, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, ქ-ნ პეის მისის კარნახობით დაუწერია. ესტერგაზი სამოქალაქო სამართალში იქმნა მიკემული. არ იციან, ამ დაპატიმრებას რაიმე კავშირი აქვს თუ არა დრეიფუსის საქმესთან.

3 ივლისი

პარიჟი. კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ, რადგანაც ოსმალეთის მთავრობამ საფრანგეთის საელჩოს ხელმეორე მოთხოვნილებაზე ისე უპასუხა, რომ იმ ზარალს არა ვზღამ, რომელიც მოხდა სომხების დახოცვისა გამოო, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ შეუკრა იმდენი ფული საბერძნეთიდგან ასაღებ სამხედრო საზღვაურიდგან, რამდენსაც თხოულობდა.

პიკარი გადიყვანეს სანტეს საპატიმროში. პიკარი სამართალში მისცეს იმ კანონის ძალით, როაელიც ჯაშუშობას სდევნის.

პეტროზავოდსკი. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარისა და ადგილობრივ ეპისკოპოსის თანადასწრებით, გუბერნატორმა განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქმნა დაარსებული.

ვაშინგტონი. შაფტერი და მაილსი იუწყებიან: „ტორალმა განაცხადა, რომ მონდობილი მაქვს წავიყვანო ჯარი და გადმოგცეთ ნავთსადგური, სამხედრო სურსათი და ყუბას კუნძულის აღმოს-ვლეთის მხარე.

ამერიკის სამხედრო სამინისტრო არ სთანხმდება ჯარი წაყვანაზე. შაფტერი კვლავ დაემუქრა ქალაქს ყუმბარებს დავუშენო.

ეშინიანთ, რომ ამერიკის ჯარი დიდ განსაცდელში იქმნება წვიმებისა და ციებ-ცხელების გამო.

ხმა დადის, ფომ კაბინეტის საბჭომ გადასწყვიტა იერიშით მიიყვანოს ჯარი სანტიაგოზე.

მადრიდი. მთავრობამ დეპეტით მისწერა ბლანკოს, უბძანე ტორალს, რომ უკანასკნელ საშუალებამდე გაგრძელ ომიო. ამბობენ, რომ ბლანკომ კვლავ შეატყობინა მთავრობას — ომი უნდა განვაგრძოთო.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტმა მიიღო 1898 წლის თებერვლის განმავლობაში

1, საწევრო ფული:	მ.	კ.
1, ეკატერინე ასათიანისაგან	6	„
2, ნიკოლოზ გივის ძე გოგიტიძისაგან	6	„
3, თომა ზაქარიას ძე ნასიძისაგან (ნაწილი)	2	„
4, გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილისაგან (ნაწილი)	3	„
5, დავით ბესარიონის ძე დოლობერიძისაგან	6	„
სულ	23	„
2, ყულაბებით შეგროვილი ფული:		
1, ელისაბედ ბაქრაძისაგან	4	32
2, კნ. მაკრინე ქაიხოსროს ძე ამირაჯიბისაგან	22	31
სულ	26	63
3, შემოწირულებანი:		
1, საზოგადოების აგენტის თომა მთავრიშვილისაგან	30	„
2, კიკნაძისაგან ყარსში გამართულის წარმოდგენის შემოსავალი	163	09
სულ	193	09

განცხადებანი

სულით აკადმოოფთათვის განზრახულის ოჯუშესაფარისათვის **საჭირო** ვანცალკევებული **სახლი**

ქალაქის განპირად დიდის ეზოთი და თუ შეიძლება, ბალითაც. ოთახების რიცხვი 12—15-ზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

მსურველნი უნდა მიჰმართონ ქალაქის გამგეობას. (3—ნ.—1).

ზეთი და ფხვნილი

სპილენძისაგან საგნების სახეხად დამზადებული მოსკოვის

რ. კელერისა და ამხ.

ქარხნის მიერ. გასასყიდად იპოვება **ყველა** დიდს ვაჭართან.

ამ ქარხანაში დამზადებულ ზეთითა და ფხვნილით გახეხილი სპილენძის ნივთები ახალ ნივთებზედ უკეთესად დაიწყებს ხოლმე პრიალსა და ელფერებას. მყიდველი მუდამ უნდა გაფრთხილდეს და არ იყიდოს სხვა ამ გვარი რამ, რადგან ცუდის ღირსების ზეთი, უმთავრესად ნოტიო ჰაერში თავისით დაფხვნილი ვენის კირი (ე. ი. დაუნაყავი) სრულიად უვარგისია სახმარებლად და თუმცა სახარბიელოა თავისის სიაფით, ძაგრამ ყოველივე ძალა გამოლეული აქვს. (3—მ.—1)



ვეცხლისა



ოქროსა


ტფილ. გამოფენა.



ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

ა. ა. თუთაევისა

პირველ მაისიდამ გადატანილია იარმუკიდგან მიხეილის ქუჩაზედ, საავადმყოფოს პირდაპირ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97. და მეორე განყოფილება საღებავებისა (კრასკებისა) ავლაბარშია, სირაჯხანის თავში. ორივ ალაგას საუკეთესოდ მზადდებიან ყოველნაირი ზეთის კრასკები და იყიდება დაშორებით სხვა ფლებზედ იაფ ფასად. აგრეთვე ვყიდით ლიტოგრაფიის კრასკებს როგორც გალესილს, ისრე მშრალს, მარას, ბრონძსაბისტებს და სხვა, აქვე ვიღებთ ყველა ნაირად სახლების შეკეთებას, (რემონტს) როგორც ტფილისში, ისე სხვა საქართველოს ქალაქებში, მხოლოდ რკინის გზის სადგურების მახლობლად, საქონელი სხვა ადგილებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას დადებით. (40—ნ.—7)

Дозволено цензурою, Тифлисъ 3 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.